მშობლად გახდომის გამოცდილების ფსიქოსოციალური ასპექტები

ნინო ჯორბენაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ფსიქიკური ჯნამრთელობა (ფსიქოტრავმატოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ფილაური (მოწვეული პედაგოგი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ჯორბენაძე, 17.06. 2025

აბსტრაქტი

ნაშრომი წარმოდგენს მშობლად გახდომის გამოცდილების ფსიქო-სოციალური ასპექტების კვლევას. კვლევის მთავარი ამოცანაა იმ გამოწვევებისა და ცვლილებების იდენტიფიცირება, რომელთა წინაშეც დგებიან ქალები და მამაკაცები პირველი შვილის დაბადების შემდგომ ეტაპზე. ნაშრომი ეფუძნება როგორც სამეცნიერო ლიტერატურის თეორიულ ანალიზს, ასევე კვლევის ფარგლებში შეგროვებული ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუების ნარატიულ-თემატურ ანალიზს, რაც შესაძლებლობას იძლევა, დეტალურად აღიწეროს მშობლობის ინდივიდუალური გამოცდილებები.

შედეგები აჩვენებს, რომ მშობლობის გამოცდილება მჭიდროდ უკავშირდება და განსაზღვრულია კულტურული მოლოდინებით, გენდერული როლებითა და სოციალური და ინსტიტუციური მხარდაჭერის ასპექტებით. დედებთან მეტად გამოიკვეთა ემოციური გადაღლილობა, საკუთარ სხეულთან გაუცხოება, იდენტობის ტრანსფორმაცია ახალ როლში შესვლისას, თვითზრუნვის გაძლიერება და შფოთვა, ხოლო მამებთან შედარებით გვიან ხდებოდა ახალ როლთან ადაპტაცია და ისინი ნაკლებად აღნიშნავდნენ ფსიქოლოგიურ სირთულეებს, არამედ, მეტი ყურადღებ აგამახვილებული იყო ფინანსურ პასუხისმგებლობებზე. ნაშრომი ასკვნის, რომ მშობელთა ფსიქოლოგიური და სოციალური კეთილდღეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული გენდერულად სენსიტიური, ინტეგრირებული და მრავალდონიანი მხარდაჭერის სისტემების არსებობასთან, რაც საჭიროებს როგორც პოლიტიკის, ასევე პრაქტიკის გადახედვას თანამედროვე ქართულ რეალობაში.

საძიებო სიტყვები: ახალბედა მშობლობა, გენდერული როლები, მშობლების გამოწვევები და საჭიროებები, ფსიქო-სოციალური საკითხები, ინსტიტუციური მხარდაჭერა.

Abstract

The study examines the psychosocial dimensions of the transition to parenthood. Its primary objective is to identify the challenges and changes that women and men face in the period following the birth of their first child. The paper draws on both a theoretical analysis of the scientific literature and a narrative-thematic analysis of semi-structured interviews collected for the study, thereby enabling a detailed account of individual parenting experiences.

The findings show that the experience of parenthood is deeply shaped by cultural expectations, gender roles, and social and institutional supports. Among mothers, emotional exhaustion, a sense of alienation from their own bodies, identity transformation during the transition to a new role, heightened self-care, and anxiety were particularly pronounced. In contrast, fathers adapted more slowly to their new role and reported fewer psychological difficulties, focusing instead to a greater extent on financial responsibilities. The paper concludes that parents' psychological and social well-being are closely linked to the presence of gender-sensitive, integrated, and multidimensional support systems—highlighting the need to rethink both policy and practice in contemporary Georgian society.

Keywords: new parenthood, gender roles, parenting challenges and needs, psychosocial issues, institutional support.